საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საგანგებო სიტუაციებზე სამოქმედო გეგმა

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № ოქმი № 5 30.05 2022 წ.

ცვლილებები შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 21 01.12.2023 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმოამდგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N 9 25.04.2024 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: მანანა ღარიბაშვილი

თელავი 2022 წ.

საგანგებო სიტუაციებზე სამოქმედო გეგმა

სარჩევი

1.დოკუმენტის მიზანი;

2. განგაში და კომუნიკაციის ნომრები;

2.1 მცირე საფრთხის შემცველ სიტუაციებზე რეაგირება;

2.2 საშუალო და უკიდურესი საფრთხის შემცველ სიტუაციებზე რეაგირება;

3. ვალდებულებები და პასუხისმგებლობები საგანგებო სიტუაციების დროს;

3.1 გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის წევრები;

3.2 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი;

4. სამედიცინო დახმარება;

4.1 პირველადი სამედიცინო დახმარება

4.2 დაშავებულთა ტრანსპორტირება;

5. სწავლებები პერსონალისთვის;

1. დოკუმენტის მიზანი

საგანგებო სიტუაციებზე სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს და ქმედებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს საგანგებო ავარიულ სიტუაციებში, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე დაემუქრა ადამიანის ჯანმრთელობას, საკუთრებას, ან გარემოს.

2. განგაში და კომუნიკაციის ნომრები

ისეთი მასშტაბური ინციდენტების დროს, როგორიცაა ხანძარი და სხვა სიცოცხლისთვის უკიდურესი საფრთხის შემცველი სიტუაციები, პერსონალის გასაფრთხილებლად გამოყენებული იქნება სპეციალური სიგნალიზაცია, რომელიც დამონტაჟებულია უნივერსიტეტის შენობებში და გააქტიურდება მხოლოდ პასუხისმგებელი პირების მიერ. საგანგებო სატელეფონო ნომრები (სახანძრო, სასწრაფო დახმარების, პოლიციის, დაცვის, შრომის უსაფრთხოების მენეჯერის, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის) გამოკრული იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

უკიდურეს საფრთხის შემცველ სიტუაციებში საჭიროა ევაკუაცია. შეკრების ადგილი მოწყობილია ობიექტის გარე პერიმეტრზე და დასაქმებულებს ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი საევაკუაციო პროცედურის შესახებ.

საგანგებო სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღები ჯგუფი შედგება შემდეგი პირებისგან:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი(პირები)
- შრომის უსაფრთხოების მენეჯერი

კრიტიკული, საშუალო და მცირე საფრთხის შემცველ სიტუაციებში გატარდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

2.1 მცირე საფრთხის შემცველ სიტუაციებში რეაგირება

მცირე საფრთხის შემცველად ითვლება ისეთი სიტუაცია, რომელიც შეიძლება მოგვარდეს ადგილზე დასაქმებულების მიერ (შესაძლო მცირე დაზიანებები, რომელიც არ გამოიწვევს ხანგრძლივად შრომისუნარიანობის შეზღუდვას). მაგალითად, მცირე ხანძარი, რომლის ლოკალიზებაც ადვილად შეიძლება ადგილზე ცეცხლმაქრი ხანძარ საწინააღმდეგო სისტემის გამოყენებით.

სავალდებულო ქმედებებია:

- ნებისმიერი თანამშრომლის მიერ ინციდენტის შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფისთვის: ადმინისტრაციისხელმძღვანელი, სახანხრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სახანძრო კოორდინატორები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, (ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ერთ წარმომადგენელს მაინც);
- ჩამოთვლილთაგან პირველი ვინც მიიღებს ინფორმაციას, უზრუნველყოფს საფრთხის აღმოფხვრას ზემოთ ხსენებულ ავარიულ სიტუაციების რეაგირების ჯგუფთან ერთად და მაქსიმალურად სწრაფად მიაწვდის ინფორმაციას გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის დანარჩენ წევრებს.

ინფორმაციის დროულად მიწოდება.

2.2 საშუალო და უკიდურესი საფრთხის შემცველ სიტუაციაზე რეაგირება

საშუალო და უკიდურესი საფრთხის შემცველად ითვლება ისეთი სიტუაციები, რომლებიც ვერ გვარდება გარემალების ჩარევის გარეშე, ანუ აუცილებელი ხდება ქვეყანაში არსებული საგანგებო სიტუაციებში რეაგირების სერვისების (მაგ: სახანძრო, სასწრაფო დახმარება და ა.შ.) გამოძახებად აღნიშნულ ფაქტს მოჰყვება სხეულის საშუალო სიმძიმის, საკუთრების და გარემოს დაზიანება ან ფატალური შედეგები. ასეთი შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

სავალდებულო ქმედებებია:

- გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფისთვის ნებისმიერი თანამშრომლისგანინფორმაციის მიწოდება ინციდენტის შესახებ;
- გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის ინციდენტზე დროული რეაგირება, შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების ჩართვა და ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფთან ერთად პერსონალის სასწრაფო ევაკუაცია;
- ექიმის პირველადი სამედიცინო დახმარების ჯგუფის მობილიზება შეკრების ადგილზე და დაშავებულთა საავადმყოფოში გადაყვანა საჭიროებისამებრ.

3. ვალდებულებები და პასუხისმგებლობები საგანგებო სიტუაციების დროს

3.1 გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან:

- შეაფასონ სიტუაცია და გადაწყვიტონ საჭიროა თუ არა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მოქმედებაში მოყვანა;
- საჭიროების შემთხვევაში დაიწყონ გეგმის განხორციელება და გააკონტროლონ მისი მიმდინარეობის სწორი მიმართულება;

- მიიღონ მაქსიმალურად სწორი გადაწყვეტილება მოცემულ სიტუაციაში;
- შესასრულებელი სამუშაო დაჰყონ ნაწილებად (დავალებების გამარტივებისთვის);
- განსაზღვრონ პრიორიტეტები;
- უზრუნველყონ საგანგებო სიტუაციაში საჭირო კომუნიკაციები;
- მოამზადონ ინციდენტის შესახებ ანგარიში;

3.2 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი

- ევაკუაციის დროს მიმართულებას აძლევს პერსონალს;
- საჭიროების შემთხვევაში უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას;
- შეკრების ადგილზე ამოწმებს/თვლის პერსონალს;
- მოახსენებს ხელმძღვანელობას დანაკლისის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უზრუნველყოფს მცირე ხანძრების ჩაქრობას;

IAKOB GOGEBASHVILI TELAVI STATE UNIVERSITY REPRESENTATIVE BOARD

საგანგებო სიტუაციებში პასუხისმგებელი პირების და

სერვისების სატელეფონ ნონომრები

გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფი		
სახელი, გვარი	თანამდებობა	მობილური
სოლომონ რამაზაშვილი	ადმინისტრაციის ხელმძვანელი	597-33-50-33
არსენა ბუქვაიძე	სახანძრო კოორდინატორი I სასწ. კორპუსი	599-423-053
ოთარი ბაწილაშვილი	სახანძრო კოორდინატორი II სასწ. კორპუსი და ბიბლიოთეკა	551-477-752
ზაზა ჯაშიაშვილი	სახანძრო კოორდინატორი სპორტ. დარბაზი	598-297-579
ზურა იაგორაშვილი	დაცვის სამსახური	597-766-557
დავით ლაჩაშვილი	შრომის უსაფრთხ.მენე ჯერი	577626364
სერვისებისსატელეფონონომრები		
სახანძრო/სამაშველო, სასწრაფო სამედიცინო სამსახური, პოლიცია	112	

(ცვლილება დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე. ოქმი N21 01/12/2023)
(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე. ოქმი N9 25/04/2024)

4. სამედიცინო დახმარება

4.1 პირველადი სამედიცინო დახმარება

დაზიანების შემთხვევაში სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე დაზარალებულს აღმოეჩინება პირველადი სამედიცინო დახმარება ჩატარებული სწვალების შესაბამისად.

4.2 ახლო მდებარე საავადმყოფოები და დაშავებულის ტრანსპორტირება

დაშავებულის ჰოსპიტალიზაცია საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ (112)

5. სწავლება პერსონალისთვის

საგანგებო სიტუაციებზე სამოგმედო გეგმის ეფექტურობისთვის აუცილებელია სწავლების ჩატარება.

სწავლების ჩატარების რიგითობა მოიცავს:

- საგანგებო საევაკუაციო გეგმის შედგენისთანავე;
- ყველა ახლად მიღებული თანამშრომლისათვის;
- საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე რომ დასაქმებული არ არის ადეკვატურად გადამზადებული;
- თუ გამოვლინდა, რომ დასაქმებული არ იყენებს ან/და არასწორად იყენებს დამცავ საშუალებებს;
- ახალი საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში;
- მასიური უბედური შემთხვევის დროს;
- პერიოდულად, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე;
- კანონის მოთხოვნების შესაბამისად.